თასების თასი
"კარდიფ–სიტი" (უელსი) – ""დინამო" (თბილისი)
1:0

მატჩის დამთავრების შემდეგ თბილისის "დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა განაცხადა შემდეგი: "ჩვენ შეგვეძლო გამარჯვება მოგვეპოვებინა, რომ სათანადოდ გვესარგებლა მეტოქის კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტებით".

მართლაც, დინამოელებმა ეს მატჩი ენერგიულად, მონდომებით ჩაატარეს და რამდენიმეჯერ ჩააყენეს მეტოქე მძიმე მდგომარეობაში. მათ სულ ცოტა, ორჯერ შეეძლოთ დაწინაურებულიყვნენ: ჯერ ყიფიანმა მოახვედრა ბურთი ძელს, შემდეგ კი გუცაევმა მოატყუა 2 მცველი, მეკარეც, მაგრამ მის დარტყმას მიუსწრო მცველმა ჩარლზმა და კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

როგორც ეს ხშირად ხდება, ერთი გუნდის წარუმატებლობა მეორისთვის სტიმულად იქცევა ხოლმე: კარდიფელებმა გაუძლეს დინამოელთა იერიშებს, შემდეგ გაათანაბრეს თამაში და 73–ე წუთზე გუნდის შეტევების ლიდერმა ოსტონმა გაიტანა კიდეც გოლი, რომელმაც მატჩის ბედი "კარდიფ–სიტის" სასარგებლოდ გადაწყვეტა.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი.

„ლელო“, 18.09. 1976 წ.